საარჩევნო სისტემის გავლენა პარტიულ კონკურენციაზე: საქართველოს 2020 წლისა და 2024 წლის არჩევნების შედარებითი ანალიზი

ნინო მამულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(პოლიტიკის მეცნიერება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო მამულაძე

19.06.2025.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის წარმომადგენლებს. აგრეთვე, ყველა იმ ადამიანს, ვინც დამთანხმდა ინტერვიუზე და მომაწოდა ჩემი კვლევისთვის ღირებული ინფორმაცია. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი სამეცნიერო კვლევის ხელმძღვანელს, ნინო ფავლენიშვილს, რომელიც კვლევის პროცესში აქტიურად და პერმანენტულად მიწევდა დახმარებას - მაძლევდა საინტერესო რეკომენდაციებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, რამაც ჩემი კვლევა ღირებული, საინტერესო და აქტუალური გახადა.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია იმ ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებმაც განაპირობა საქართველოს მიერ საარჩევნო სისტემის დიზაინის ცვლილების დღის წესრიგში დაყენება 2020 წელს და სისტემის სრულად პროპორციულ მოდელზე გადასვლა 2024 წელს. კვლევა ასევე მიზნად ისახავს შეაფასოს პოლიტიკური ელიტების როლი საარჩევნო სისტემის ცვლილების პროცესში და გააანალიზოს, როგორ იმოქმედა სისტემის ცვლილებამ პარტიებს შორის კონკურენციის დინამიკაზე. კვლევაში გამოყენებულია ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. კვლევის შედეგები და დასკვნა აჩვენებს, რომ დიუვერჟეს კანონების ლოგიკა, რომლის მიხედვითაც პროპორციული სისტემები მრავალპარტიული პარლამენტის ფორმირებას უწყობს ხელს საქართველოს შემთხვევაში არ დადასტურდა. შესაბამისად, გამართლდა სარტორის კრიტიკა - დიუვერჟეს კანონები მხოლოდ სტრუქტურირებულ პარტიულ სისტემებში მოქმედებენ. მიუხედავად ამისა, დიუვერჟეს ძირითადი თეზა, რომ საარჩევნო სისტემა გავლენას ახდენს პარტიების ქცევაზე დასტურდება, თუმცა, სარტორის კაუზალური მოდელის გათვალისწინებით, რომელიც ნაწილობრივ მოდიფიკაციას უკეთებს დიუვერჟეს ძირითად თეზას (საარჩევნო სისტემები გავლენას ახდენენ პარტიულ სისტემაზე, ხოლო პარტიული სისტემა ცალკეული პარტიების სტრატეგიებსა და ქცევაზე). ამასთან, კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს რეალობაში პოლიტიკური ელიტები არ იყვნენ პასიური მოთამაშეები და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საარჩევნო სისტემის დიზაინის ცვლილების პროცესზე. ამასთან, გამოიკვეთა, რომ ელიტების ქცევა განპირობებული იყო, როგორც ეგზოგენური (ევროკავშირი, შარლ მიშელის შეთანხმება) ისე ენდოგენური (სოციალური პროტესტები, სამოქალაქო საზოგადოების წნეხი, ოპოზიციური ძალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა) ფაქტორების კომბინაციით.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო რეფორმა, პროპორციული წარმომადგენლობა, პარტიული კონკურენცია, პოლიტიკური ელიტები, დიუვერჟეს კანონები, სარტორის თეორია, საქართველოს პოლიტიკა.

Abstract

The aim of this study is to identify the main factors that led Georgia to put the design of its electoral system on the agenda in 2020 and to transition to a fully proportional model in 2024. The study also aims to assess the role of political elites in the process of changing the electoral system and analyze how the system change affected the dynamics of competition between parties. The study used a semi-structured interview method. The results and conclusion of the study show that the logic of Duverger's laws, according to which proportional systems contribute to the formation of a multi-party parliament, was not confirmed in the case of Georgia. Accordingly, Sartor's criticism was justified - Duverger's laws operate only in structured party systems. Nevertheless, Duverger's main thesis that the electoral system affects the behavior of parties is confirmed. However, taking into account Sartorius' causal model, which partially modifies Duverger's main thesis (electoral systems influence the party system, and the party system influences the strategies and behavior of individual parties), the study also confirmed that in the Georgian reality, political elites were not passive players and had a significant impact on the process of changing the design of the electoral system. It was also revealed that the behavior of elites was determined by a combination of both exogenous (the European Union, the Charles Michel Agreement) and endogenous (social protests, civil society pressure, the involvement of opposition forces and NGOs) factors.

Keywords: electoral reform, proportional representation, party competition, political elites, Duverger's laws, Sartor's theory, Georgian politics.